თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2012 წლის 30 აპრილი სხდომის ოქმი #2

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მ. შ. აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 30, სტუდენტები – 6, სულ – 37 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

2. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

3. ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის სახელწოდების ცვლილების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

4. ევროპული კვლევების ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის ევროპამცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მინიჭება

/ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

5. ხარისხების მინიჭება

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

6. მიმდინარე საკითხები:

ა). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის #40/01–01 (13.03.2012 წ) ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩასატარებლად დეკანის ბრძანება #04/01–01 (30.03.2012 წ) შესრულების მიმდინარეობის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

ბ). დეკანის ბრძანება N08/01–01(12.04.12) სასწავლო პროცესში სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სააუდიტორიო მეცადინეობების გაცდენის ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

გ). სტუდენტთა კონფერენციის ჩატარების შესახებ (28 მაისი)

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ . ლობჟანიძე/

დ). ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

ე). აკადემიური პერსონალის კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

ვ). შუალედური გამოცდების მიმდინარეობის და გამოცდების ჩატარების წესის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ როგორც მოგეხსენებათ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალი დებულების თანახმად, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევა მოხდა სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებზე (კათედრებზე) და ამიტომ კენჭი უნდა ვუყაროთ საკითხს ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. მესხიამ, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. ი. კოვზანაძემ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 37;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: ცნობილ იქნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

უფლებამოსილება.

მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს შესთავაზა ხათუნა ბარბაქაძის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. კოვზანაძემ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრულ. პროფ. მ. ტუხაშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 37;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას ხათუნა ბარბაქაძე.

მოისმინეს: ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის სახელწოდების ცვლილების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. ი. კოვზანაძემ, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 1.

დაადგინეს: ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის დასახელება შეიცვალოს და ეწოდოს „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“.

მოისმინეს: ევროპული კვლევების ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის ევროპამცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 37;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს:

ა). მიენიჭოს ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის 2011 წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს და მიცეთ მაგისტრის შესაბამისი დიპლომი:

1. ანა ტიტვინიძე
2. გიორგი მესხი
3. ხათუნა დიდბარიძე (დიპლომი წარჩინებით)
4. ნინო კეკელიძე
5. ნათია მაისურაძე
6. თამარ გიორგაძე
7. ია მელქაძე (დიპლომი წარჩინებით);

ბ). ეთხოვოს თსუ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბატონ ა. კუკულავას მოგვაწოდოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი ევროპული კვლევების ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების საკითხის პროცედურასთან დაკავშირებით;

გ). ეთხოვოს თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორს ქალბატონ ნინო ლაპიაშვილს აღნიშნული ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება კვალიფიკაციის მინიჭებაზე მონაწილე ფაკულტეტების შესაბამის სამსახურებში.

მოისმინეს: აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ჩოხელმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 37;

წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს:

I. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ყოფილი სსიპ - „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობების უნინერსიტეტის“ საბაკალავრო პროგრამის - ბიზნესი და მართვის კურსადმთავრებულებს

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ონიანი რატი
2. გოჩოლეიშვილი ლევანი
3. კამკამიძე ლაშა
4. კვირაია გიორგი
5. ლაგვილავა ხვიჩა
6. ბალანჩივაძე კონსტანტინე
7. ამირანაშვილი გიორგი
8. ნასყიდაშვილი ვანო

II. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესი და მართვის საბაკალავრო პროგრამის სპეციალობით: მენეჯმენტი

დიპლომი ჩვეულებრივი

1. გომიაშვილი ნატალია
2. ლომაშვილი ვაჟა
3. კალმახელიძე ჯაბა

მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ნიკა ჩიხლაძე
2. დავით მინდიაშვილი

მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით - ფინანსები, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ქვემო ქართლის ყოფილი ფილიალის 2007 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს:

1. ბოჭორიშვილი ლაშა
2. ნარიაშვილი ზურაბ

მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი:

1. დონჯაშვილი თორნიკე

მოისმინეს: მინიჭებული ბაკალავრის ხარისხის გაუქმების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 37;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: გაუქმდეს მინიჭებული ხარისხი და ამოღებულ იქნას რექტორის ბრძანებიდან (#665/01-04 06.04.2012 წ) ნათია ფუხაშვილი.

მოისმინეს: გიორგი ჯვარშეიშვილისთვის დიპლომი ჩვეულებრივი (#1 ოქმი 16 მარტი 2012 წელი) გაუქმებისა და დიპლომი წარჩინებაზე წარდგენის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი/

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ, სრ. პროფ. ი. მესხიამ, სრ. პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. დ. ნარმანიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 37;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საბაკალავრო პროგრამა – „ბიზნესის ადმინისტრირება“:

დიპლომი წარჩინებით:

1. გიორგი ჯვარშეიშვილი

მოისმინეს: ა). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის #40/01–01 (13.03.2012 წ) ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩასატარებლად დეკანის ბრძანება #04/01–01 (30.03.2012 წ) შესრულების მიმდინარეობის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა *საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის #40/01–01 (13.03.2012 წ) ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩასატარებლად დეკანის ბრძანება #04/01–01 (30.03.2012 წ) შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე 13 სექტემბრამდე ფაკულტეტის ბიბლიოთეკას მიწოდებულ უნდა ჰქონდეს სილაბუსში მითითებული სავალდებულო უცხოენოვანი ლიტერატურის შესაბამისი ქართულენოვანი სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია. აღნიშნული ინფორმაცია დაეგზავნა ყველა კათედრას.*

სრ. პროფ. ე. ხარაბაძემ *აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ბიბლიოთეკის მიერ შესყიდული წიგნების რაოდენობა არის 5, რომელიც ძალიან მცირეა და არაა საკმარისი ისეთი დიდი ფაკულტეტისთვის, როგორიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტია. იქნებ ვთხოვოთ ადმინისტრაციას, რომ გაიზარდოს წიგნების რაოდენობა.*

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ბ). დეკანის ბრძანება (#08/01–01(12.04.12) სასწავლო პროცესში სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სააუდიტორიო მეცადინეობების გაცდენის ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

გ). სტუდენტთა კონფერენციის ჩატარების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ . ლობჟანიძე/

ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია 28 მაისს სტუდენტთა კონფერენციის ჩასატარებლად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

დ). ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულების შემუშავება საუნივერსიტეტო მასშტაბის საკითხია. დებულებისას შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში ჩვენ ვთქვით, რომ ეს დებულება ზოგადია და უნდა შეიქმნას სტრუქტურული ერთეულების დებულება, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებს კათედრის, დეპარტამენტის და ასე შემდეგ საქმიანობას.
2 კვირის განმავლობაში წარმოადგინეთ სტრუქტურულმა (კათედრებმა) ერთეულმა უფლება-მოვალეობები.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ე). აკადემიური პერსონალის კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკულად გადაწყვეტილია მაისში კონკურსის გამოცხადება ზაფხულში ჩატარება, რადგან სრულ, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორებს ეწურებათ აკადემიური თანამდებობის ვადები. საბოლოოდ, კონკურსის ვადებს და ცატარების წესს უნივერსიტეტის იურიუდიული დეპარტამენტი გამოაქვეყნებს.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ვ). შუალედური გამოცდების მიმდინარეობის და გამოცდების ჩატარების წესის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შუალედური გამოცდების მიმდინარეობის და გამოცდების ჩატარების წესში მკაფიოდ განისაზღვრა ვადები ჩატარების, გასწორების, პასუხისმგებელი პირის გამოყოფის და ასე შემდეგ. ეს ინფორმაცია დაგზავნილია კათედრების ელექტრონულ ფოსტაზე.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის

შემსრულებელი: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,

ასოც. პროფ: ხ. ბარბაქაძე